პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

ოჯახებს მუდამ ერთად შეუძლიათ ყოფნა

ოჯახების სამარადისოდ შეკვრის სამღვდელოების ძალა ღვთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძღვენია. ყოველ ადამიანს, რომელსაც ესმის ხსნის გეგმა, აქვს ძლიერი სურვილი – მიიღოს ეს ხანგრძლივი დალოცვა. მხოლოდ ჩაბეჭდვის ცერემონიებზე, რომლებიც ტარდება უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის მიძღვნილ ტაძრებში, ღმერთი გვპირდება, რომ ოჯახები შეიძლება მარად დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან.

მღვდლობის გასაღებები, რომელთა წყალობითაც ეს შესაძლებელი ხდება, აღდგენილი იყო დედამიწაზე წინასწარმეტყველ ელიას მიერ და გადაეცა ჯოზეფ სმითს კირტლანდის ტაძარში. ეს მღვდლობის გასაღებები უწყვეტი ჯაჭვით გადაეცემოდა ცოცხალ წინასწარმეტყველებს უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ეკლესიაში, დღემდეც კი.

მხსნელი, მიწიერი მსახურების დროს, ეუბნებოდა თავის მთავარ მოციქულს, პეტრეს, ოჯახების შეკვრის ძალის შესახებ: „ რასაც შეჰკრავ მიწაზე, ზეცაშიც შეკრული იქნება, ხოლო რასაც გახსნი მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“ (მათე 18:18).

მხოლოდ ცელესტიალურ სამეფოში ჩვენ შეგვიძლია მარადიულად ვიარსებოთ, როგორც ოჯახმა. იქ შეგვიძლია ვიყოთ ოჯახი, მამაზეციერისა და მხსნელის გარემოცვაში. წინასწარმეტყველმა ჯოზეფ სმითმა მოძღვრებასა და აღთქმებში ასე ახსნა ეს მშვენიერი გამოცდილება :

“როცა მხსნელი გამოჩნდება, ჩვენ ვიხილავთ მას ისეთს, როგორიც არის. ჩვენ დავინახავთ, რომ იგი ჩვენნაირი ადამიანია.

“და იგივე ურთიერთობები გვექნება, რაც ახლა არსებობს ჩვენს შორის, ოღონდაც მათ თან დაერთვება მარადიული დიდება, ის დიდება, რომლითაც ამჟამად ვერ ვტკბებით” (მოძღვრება და აღთქმები 130: 1-2).

ეს ნაწყვეტი წმინდა წერილიდან გვირჩევს, თავდაჯერებულად ვისწრაფოდეთ ზეციურ სტანდარტებისკენ ჩვენს ოჯახურ ურთიერთობებში. ჩვენ შეგვიძლია საკმარისი ყურადღება დავუთმოთ ოჯახის წევრებს, როგორც ცოცხლებს, ასევე გარდაცვლილებს და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ შევთავაზოთ მათ ის მღვდლობის წეს-ჩვეულებანი, რომლებიც შეგკვრავენ ზეცაში.

მრავალი თგვენგანი – ახალგაზრდა თუ მოხუცი, აკეთებს ამას. თქვენ ეძებდით წინაპრების

სახელებს, რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ ის წეს-ჩვეულებანი, რომელთა მეშვეობითაც თქვენ ერთად იქნებით ჩაბეჭდილნი.

თითქმის ყველას გყავთ ცოცხალი ნათესავები, რომლებიც მღვდლობის ძალის საშუალებით არ არიან ჩაბეჭდილნი, როგორც ოჯახები. მრავალ თქვენგანს ჰყავს ნათესავები, რომლებმაც მიიღეს მღვდლობის წეს-ჩვეულებანი, მაგრამ არ იცავენ ღმერთთან დადებულ აღთქმებს. ღმერთმა დაგლოცოთ, რათა შეძლოთ მისწვდეთ ყოველ ასეთ ნათესავს რწმენაში. თქვენ გაქვთ დაპირება, რომელსაც უფალი აძლევს თავის იმ მოწაფეებს, რომლებიც მიდიან სხვების მოსაყვანად მასთან:

"და ვინც მიგიღებთ თქვენ, იქ მეც ვიქნები, ვინაიდან თქვენს წინაშე ვივლი. მე ვიქნები შენს მარჯვენა და მარცხენა მხარეს და ჩემი სული იქნება თქვენს გულებში, ჩემი ანგელოზები იქნებიან შენს თავს გარშემორყმულნი რათა მხარში ამოგიდგნენ" (მოძღვრება და აღთქმები 84:88).

ჩემი ოფისის ფანჯრიდან ყოველ დღე ვხედავ ნეფე-პატარძლებს, რომლებიც მშვენიერი ყვავილებისა და მოქმედი შადრევნების ფონზე იღებენ სურათებს. ნეფე ხშირად ხელში იყვანს პატარძალს, თუნდაც რამდენიმე მობარბაცე ნაბიჯით, სანამ ფოტოგრაფი საქორწილო სურათებს იღებს. ყოველთვის, როცა ამას ვხედავ, ვფიქრობ იმ წყვილებზე, რომლებსაც ვიცნობდი, რომლებსაც დროთა განმავლობაში - ზოგჯერ ქორწინების დღიდან სულ მოკლე ხანში, მოუწიათ ერთმანეთის ხელში აყვანა და ტარება, როცა ცხოვრებაში სირთულეები გაუჩნდათ. შეიძლება სამსახური დავკარგოთ. შეიძლება ბავშვები ჯანმრთელობის პრობლემებით დაიბადონ. შეიძლება ავადმყოფობა შემოგვეპაროს. და შემდგომში, ჩვევა – მოვექცეთ სხვებს ისე, როგორც ჩვენ გვსურს, მოგვექცნენ, გვაქცევს გმირებად გამოცდის იმ დროში, როცა ამის განსახორციელებლად გაცილებით მეტი ძალისხმევა გვჭირდება, ვიდრე გვეგონა, რომ ჩვენში იყო.

ჩვენ ისეთი ურთიერთობა უნდა ვაჩუქოთ ჩვენს ოჯახებს, როგორსაც ღმერთის გარემოცვაში თან წავიღებთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ არ მივიღოთ წყენა და არ ვაწყენინოთ სხვებს. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება – მივუტევოთ მალე და სრულად. ჩვენ შეგვიძლია შევეცადოთ, დავაყენოთ სხვების ბედნიერება საკუთარ ბედნიერებაზე ზემოთ. ჩვენ შეგვიძლია კეთილად ვისაუბროთ. როცა ყოველივე ამას შევასრულებთ, ჩვენ მოვიპატიჟებთ სულიწმინდას ოჯახებში და ცხოვრებაში.

მე გარწმუნებთ, რომ უფლის დახმარებით და მოდრეკილი გულით, ჩვენ ამ ცხოვრებაში შევძლებთ იმ ცხოვრებაზე წარმოდგენის შექმნას, რომელიც გვსურს სამარადისოდ . მამაზეციერს ვუყვარვართ. მას სურს, რომ ჩვენ მას დავუბრუნდეთ. მხსნელი, გამოსყიდვის ძალის მეშვეობით, შესაძლებელს ხდის ჩვენს გულებში ცვლილებების მოხდენას, რაც საჭიროა იმისთვის, რომ შევიდეთ წმინდა ტაძარში, დავდოთ აღთქმები, რომლებსაც დავიცავთ და როცა ამის დრო მოვა, კვლავ სახლში, ცელესტიალურ სამყაროში, სამარადისოდ ვიცხოვროთ ოჯახებთან ერთად.

ამ მოწოდების სწავლება

როცა მარადიული ოჯახის დოქტრინას უზიარებთ სხვებს, გახსოვდეთ თორმეტ მოციქულთა ქვორუმის უხუცესის, რიჩარდ ჯ. სკოტის, სიტყვები: "ყოველთვის ეცადე, განამტკიცო ოჯახი. ასწავლეთ ოჯახების ტაძარში ჩაბეჭდვის მნიშვნელობის ხედვით. . . . როცა ტაძარში ჩაბეჭდვის წეს-ჩვეულებების ხედვა გაქვთ, თქვენ ეხმარებით დედამიწაზე ღვთის სასუფევლის შენების საქმეს" ("I Have Given You an Example," *ლიაჰონა*, მაისი 2014, 34). როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ, ვისაც ასწავლით, განავითაროონ ოჯახების ტაძარში ჩაბეჭდვის მნიშვნელობის ხედვა? მოიწვიეთ ისინი, ვინც ჯერ არ ჩაბეჭდილა, განიხილონ ის საფეხურები, რომლებიც მათ უნდა გაიარონ ამ წეს-ჩვეულების მისაღებად. მოიწვიეთ ისინი, ვინც ჩაბეჭდილები არიან, განიხილონ, როგორ შეუძლიათ მათ შეინარჩუნონ მარადიული ოჯახის ხედვა და ერთმანეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

ახალგაზრდები

მარადიულად დაკავშირებული ჩემს ოჯახთან

ლაურა ბერტონის მიერ

როცა მე სამი წლის ასაკში მიშვილეს, ჩემი ბიოლოგიური დედა გაშვილებას იმ პირობით დათანხმდა, თუ ჩემი მშობლები ჩემს საეკლესიო წეს-ჩვეულებებს მას შემდეგ ჩაატარებდნენ, როცა 12 წლის

გავხდებოდი. მისი აზრით მე საკმაოდ დიდი უნდა ვყოფილიყავი იმისთვის, რომ საკუთარი არჩევანი გამეკეთებინა, მაგრამ ლოდინი ძალიან ძნელი იყო.

დიახ, ძნელი იყო იმის დანახვა, როგორ ინათლებოდნენ ჩემი მეგობრები რვა წლის ასაკში, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი იყო იმის ცოდნა, რომ 12 წლამდე ვერ ჩავიბეჭდებოდი ჩემს მშობლებთან, რომლებმაც მიშვილეს და ხუთ უფროს და-ძმასთან ერთად. მეშინოდა, რომ რამე მომივიდოდა და ვერ ჩავიბეჭდებოდი მათთან.

12 წლის დაბადების დღის მიახლოებისას ჩვენ დავიწყეთ ნათლობისთვისა და ოჯახთან ჩაბეწდვისთვის მზადება. მშობლებმა მომცეს იმის საშუალება, ამომერჩია ტაძარი, რომელშიც ჩავიბეჭდებოდი. მე ყოვილთვის ვფიქრობდი, რომ კალიფორნიის სან-დიეგოს ტაძარი ყველაზე ლამაზი იყო, ასე რომ მთელი ჩემი ოჯახი დათანხმდა, ჩასაბეჭდათ კალიფორნიაში წავსულიყავით.

მე სულმოუთქმელად ველოდი მშობლებთან და და-ძმებთან მარადიულ ოჯახად ჩაბეჭდვას. ჩაბეჭდვისას მე ისე ძლიერად ვიგრძენი სულიწმინდა, რომ სიტყვებით ამის აღწერა მიჭირს. ახლა, როცა საბოლოოდ ჩავიბეჭდე ოჯახთან, ჩემი მწუხარების გრძნობა სიმშვიდისა და ნუგეშის გრძნობით შეიცვალა, რადგან ვიცი, რომ ახლა მე მათთან ერთად მარადიულად ვარ დაკავშირებული.

ავტორი ცხოვრობს იუტაში, აშშ.

ბავშვები

ტაძარში შესვლის მოლოდინში

პრეზიდენტი აირინგი გვიხსნის, რომ მღვდლობის წყალობით ჩვენ გვაქვს საშუალება წავიდეთ ტაძარში, რათა სამარადისოდ ჩავიბეჭდოთ ოჯახთან ერთად. დახატეთ თქვენი საყვარელი ტაძარი ან მოიძიეთ მისი სურათი. დადეთ იგი ისეთ ადგილას, სადაც ყოველდღე შეძლებთ მის ნახვას. შეადგინეთ გეგმა, რისი მიხედვითაც თქვენ ტაძარში წასასვლელად მოემზადებით.

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, June 2015.* Georgian. 12586 131

იესო ქრისტეს ღვთიური თვისებები: კეთილშობილება

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის მისიისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვისაც თქვენ სტუმრობთ შინა მასწავლებლის პროგრამით? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org..

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის ზოგიერთ დახასიათებას.

"ღაე სიკეთით იყოს მორთული თქვენი აზრები; მაშინ თქვენი თავდაჯერებულობა გაიზრდება ღვთის გარემოცვაში; და მღვდლობის დოქტრინა ცის ნამივით მოეფინება თქვენს სულს" (მოძღვრება და აღთქმები 121:45).

რა არის კეთილშობილება? პრეზიდენტმა ჯეიმს ი. ფაუსტმა (1920-2007) თქვა: " სიკეთე მისი სრული გაგებით მოიცავს სამართლიანობის ყველა დამახასიათებელ თვისებას, რაც გვეხმარება ხასიათის ჩამოყალიბებაში".[1] პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ (1910-2008) დაამატა: "ღმერთის სიყვარული არის ხასიათის ყოველი სიკეთის, კეთილშობილებისა და ძალის ფესვი".[2]

ქალსა და კეთილშობილების შორის კავშირის შესახებ თორმეტ მოციქულთა ქვორუმის უხუცესმა, დ.ტოდ კრისტოფერსონმა, ასე ბრძანა: ქალებს დაბადებასთან ერთად თან მოაქვთ ამქვეყნად გარკვეული კეთილშობილება, ღვთიური ძალა, რაც მათ ხდის რწმენის, გამბედაობისა და თანაგრძნობის ოსტატებად, ურთიერთობებში და კულტურაში ყველანაირად დახვეწილებს. . . .

"დებო, ყველა თქვენი ურთიერთობებიდან ურთიერთობა ღმერთთან, მამაზეციერთან, რომელიც არის თქვენი მორალური ძალის წყარო, არის ის, რაც ყოველთვის პირველ ადგილზე უნდა დააყენოთ ცხოვრებაში. გახსოვდეთ, რომ იესოს ძალა მოვიდა მისი სრული დამორჩილებით მამაზეციერის ნების შედეგად. . . . ეცადეთ იყოთ მამისა და ძის ამგვარი მოწაფეები და თქვენი გავლენა არასდროს არ გამკრთალდება".[3]

დამატებითი საკითხავი მასალა წმინდა წერილიდან

ფსალმუნი 24:3-5; ფილიპელთა 4:8; 2 პეტრე 1:3-5; ალმა 31:5; მოძღვრება და აღთქმები 38:23-24

წმინდა წერილიდან

დღეს, კეთილშობილი, რწმენით აღსავსე ქალები, სწვდებიან მაცხოვარს. ლუკა 8-ში ჩვენ ვკითხულობთ ქალბატონის შესახებ, რომელიც 12 წლის განმავლობაში სისხლის დენით იტნაჯებოდა და ვერ განიკურნა. მას განკურნება სურდა, როცა "უკნიდან მიეპარა [იესოს] და მისი ტანსაცმლის კალთას შეეხო. იმწამსვე შეუწყდა სისხლის დენა. . . . ხოლო იესომ თქვა: ვიღაც შემეხო მე, რადგან ვგრძნობ, რომ ძალა[4] გავიდა ჩემგან". ეს ღირსეული მორწმუნე ქალი დაემხო მის წინაშე და"საჯაროდ განაცხადა", რომ "შეეხო" და "უცბად განიკურნა. „უთხრა მას: ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა, ადექი და წადი მშვიდობით!"(იხ. ლუკა 8:43–48; იხ. ასევე 6:17–19).

თავისი კეთილშობილებით[5] ქრისტეს შეუძლია განკურნოს, მოგცეს ძალა, უნარი, ნუგეში, გაგამხნევოს, როცა ვაკეთებთ არჩევანს გაბედულად და რწმენით მივწვდეთ მას.

შენიშვნები

1. James E. Faust, "The Virtues of Righteous Daughters of God," *ლიაჰონა,* მაისი 2003, 108.
2. Gordon B. Hinckley, "Excerpts from Recent Addresses of President Gordon B. Hinckley," *Ensign,* აპრ. 1996, 73.
3. D. Todd Christofferson, "The Moral Force of Women," *ლიაჰონა,* ნოემ.2013, 29,31
4. (ღირსებას აქვს ძალა (იხ. მარკოზი 5:30)
5. წმინდა წერილების მითითებებში მღვდლობა განიმარტება ასეთნაირად: "ადამიანისადმი ღმერთის მიერ ნაბოძები უფლებამოსილება და ძალა, იმოქმედოს ყველაფერში, რაც ადამიანის გადარჩენას ეხება" (მოძღვრება და აღთქმები 50:26-27).

განიხილეთ შემდეგი

როგორ გვაძლიერებს კეთილშობილება?

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, June 2015.* Georgian. 12586 131